ხელშეკრულება № 13
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 1 მარტი 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის მამია ჯანჯალიას სახით და მეორეს მხრივ შპს "ინფოსერვისი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ზურაბ თეთრაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სპეც სახსრებით, იურიდიული კონსულტაციისა და საინფორმაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, **(CPV კოდი: 79140000)** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია იურიდიული კონსულტაციისა და საინფორმაციო მომსახურების შესყიდვა, კერძოდ: სასწავლო ცენტრის 3 კომპიუტერზე პროგრამა "კოდექს-ოფისი"-ს ინსტალირება და შემდგომი მომსახურება. "კოდექს-ოფისი" მუშაობს ოპერაციულ სისტემებში - **MS-WINDOWS 2000/XP**, და შედგება სამი პროგრამისაგან:

ა) "კოდექსი 2007"
ბ) "კოდექსი 2007 - კოდიფიცირებული"
გ) "კოდექსი 2007 - საერთაშორისო ხელშეკრულებები"

"კოდექსი 2007" მოიცავს მიღებულ და მოქმედ:

საქართველოს კონსტიტუციას;
საქართველოს პარლამენტის კანონებს და დადგენილებებს;
საქართველოს პრეზიდენტის (პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფო მეთაურის) ბრძანებულებებს და განკარგულებებს;
საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების განჩინებებს, გადაწყვეტილებებსა და პლენუმის დადგენილებებს;
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის) ძირითად დადგენილებებს;
საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადასახადო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ 1993 წლის 1 იანვრიდან მიღებულ ძირითად კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, და ა.შ.);
ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებს;
საბაჟო სამსახურის, ქონების მართვის სამინისტროს და სხვა სამინისტროების მრავალ დოკუმენტს.

"კოდექსი 2007 - კოდიფიცირებული" მოიცავს მიღებულ და მოქმედ და კოდიფიცირებულ საქართველოს ყველა კანონსა და კოდექსს;

"კოდექსი 2007 - საერთაშორისო ხელშეკრულებები" მოიცავს მოიცავს მიღებულ საქართველოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, ოქმებს, დეკლარაციებს, მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, საერთაშორისო კონვენციებს;

ინსტალაციის მომენტში "კოდექს-ოფისი"-ს ინფორმაციული ბაზების მოცულობა შეადგენს 44998 დოკუმენტს (39869+3353+1594=44898), დაახლოებით 900 მეგაბაიტ ინფორმაციას.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 840 (რვაასორმოცი) ლარს. (240 ლარი ინსტალირება, 600 ლარი 2011 წლის 31 დეკემბრამდე ყოველთვიურად მონაცემთა ბაზის განახლების მომსახურების გადასახადი)

2.3 2.2 მუხლში აღნიშნული თანხა შეიძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა (ინსტალირება) ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 28 თებერვლიდან 2011 წლის 4 მარტამდე შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი გურამ ფანჯიკიძის (ბუდაპეშტის) ქუჩა 1ა

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება (ინსტალირების საფასური) მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 მონაცემთა ბაზის განახლების ყოველთვიური გადასახადის გადახდა მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთახმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის მენეჯერი გიორგი სალთხუციშვილი.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი.	შპს "ინფოსერვისი" ქ. თბილისი
თბილისი 0160 გურამ ფანჯიკიძის ქ. N 1	ვაგზლის მოედანი 2. საბანკო
ტელეფონი: 37-63-81 ან 37-60-05 სს	რეკვიზიტები: ბანკი "რესპუბლიკა"-ის
"ლიბერთ ბანკი"–ს სცენტრალური	სადგურის ფილიალი: ბანკის კოდი:
ფილიალი. ა/ა N 34086217176.	REPLGE22759
კოდი: LBRTGE22. საიდენტიფიკაციო	ა/ა №GE31BR0600003608002037
კოდი: 211334322	კოდი: 200001229
დირექტორი: მ. ჯანჯალია	ტელ: 95-10-36
	დირექტორი ზ. თეთრაძე